

499.962.1-5

2-603

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ანა იმბურგის ასული მეფარიშვილი

მიმღეობა საშუალო ქართულის ადრეულ ძეგლებში
(ფორმოზრივი და ფუნქციური ანალიზი)

10.02.01 – ქართული ენა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფრეატი

თბილისი
2006

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელები: **ზურაბ სარჯველაძე**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (10.02.08)

გიორგი გოგოლაშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (10.02.01)

ოფიციალური ოპონენტები: პაატა ცხადაია
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (10.02.08)

ციცინო კვანტალიანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი (10.02.01)

დისერტაციის დაცვა შედგება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სადისერტაციო საბჭოს P.10.07. №7 სხდომაზე 2006 წლის 14 ივნისს 13 საათზე. მისამართი: 0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. № 1, I კორპ., 93-ე აუდიტორია.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (0143, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 2).

ავტორეფერატი დაიგზავნა 2006 წლის 12 მაისს.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნ. ქორაძე რამაზ ქურდაძე

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. ქართული სალიტერატურო ენის განვითარების, მისი ისტორიის სრული სურათის წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ ენის ყველა პერიოდის გათვალისწინებით. საშუალო ქართულის მონაცემები უმნიშვნელოვანესია ენის ისტორიის თვალსაზრისით. ეს პერიოდი შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი. მიმღობა ძველსა და ახალ ქართულში კარგად არის გამოკვლეული. მას ეძღვნება სხვადასხვა ავტორის არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი, საშუალო ქართულში კი მიმღობის წარმოება, მისი ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზი დღემდე საგანგებოდ შესწავლილი არ ყოფილა.

ერთ-ერთი აქტუალური საკითხი, რომელიც მიმღობათა წარმოებისას იჩენს თავს, არის მათი პარალელური ფორმების არსებობა, რომელიც რიგ სპეციფიკურ თავისებურებებს გამოავლენს. მიმღობას აქვს სიტყვასაწარმოებელი როლი, რაც ენის ლექსიკის შესწავლისათვის მნიშვნელოვანია. ასევე საინტერესოა მიმღობის სინტაქსური ფუნქციები, რაც აქტუალურია სინტაქსის საკითხების შესწავლისათვის.

ნაშრომის მიზანი. სადისერტაციო ნაშრომის მიზანია მიმღობათა ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზი საშუალო ქართულის ადრეული პერიოდის ძეგლების მიხედვით; ასევე მიმღობათა პარალელური ფორმების ანალიზი; მიმღობის სინტაქსური ფუნქციების გამოვლენა; მიმღობათა წარმოებაში თავჩენილი თავისებურებების ჩვენება.

საკითხის შესასწავლად ძირითადად გამოვიყენეთ საშუალო ქართულის ადრეული პერიოდის ძეგლები, კერძოდ, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“, ასევე XII საუკუნის I ნახევარში სპარსულიდან თარგმნილი „ვისრამიანი“. განსაკუთრებული დახმარება გაგვიწია გერმანელი ქართველოლოგის — იოსებ ვიპერტის მიერ დამუშავებულმა საშუალო ქართული ტექსტების ელექტრონულმა ვერსიებმა.

მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები. საანალიზო მასალაზე დაყრდნობით ნაშრომში გამოვლინდა მიმღობის მასწარმოებელი აფიქსების სიხშირე საშუალო ქართულის ადრეული ძეგლების მიხედვით. ახალ ქართულში გავრცელებულ ზოგიერთ უპრეფიქსო მიმღობას აქ პრეფიქსიანი შეესაბამება, უსუფიქსოს კი — სუფიქსიანი, ან — პირიქით.

2090-

Библиотека
Тбилисского гос. педагогического института
иностранных языков
им. И. Чавчаваძა